განკარგულება:**g-27. 27240872**
თარიღი:**27/03/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 21

27 მარტი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 11 მარტს ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრიდან“ შემოვიდა N189/03 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქ. თელავში, დავით რექტორის ქუჩა N8-ში მდებარე N02/1 შენობა-ნაგებობაში არსებული 150.6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.20.46.188) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა.

ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის“ მიზანია ხელი შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას არაფორმალური განათლების, დასაქმებისა და სხვადასხვა სერვისის მიწოდების საშუალებით.

ქ. თელავში, დავით რექტორის ქ. N8-ში მდებარე N02/1 შენობა-ნაგებობაში არსებული 150.6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ 2005 წლიდან 2021 წლამდე სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული, რა დროსაც ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა უძრავი ქონების მდგომარეობა, განახორციელა სრულფასოვანი სარემონტო სამუშაოები, შენობა-ნაგებობა უზრუნველყო ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ამ ეტაპზე რაიმე მიზნით გამოყენება არ არის დაგეგმილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქ. თელავში, დავით რექტორის ქ. N8-ში მდებარე N02/1 შენობა-ნაგებობაში არსებული 150.6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაეცეს ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106^1 მუხლის მე-9 პუნქტის, 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

<u>გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:</u>

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასქმების ცენტრს“ (ს/კ 231286836) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაეცეს ქ. თელავში, დავით რექტორის ქ. N8-ში მდებარე N02/1 შენობა-ნაგებობაში არსებული 150.6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.20.46.188).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი